ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია

დასკვნა:**დ02. 37240862**
თარიღი:**26/03/2024**

დასკვნა

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების თაობაზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ,,სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ" განიხილა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების საკითხი და აღნიშნავს:

1, პროექტები მოიცავს საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია-ექსპლოატაციას. სკვერების მოწყობას. სპორტული მოედნისა და სანიაღვრე არხის მოწყობას.

2. წარმოდგენილი პროექტების ძირითადი წილი (8 პროექტი, ჯამური ღირებულებით 2 999 360 ლარი) მოდის საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე, როგორც ქალაქის, ასევე სოფლის და დაბის ტერიტორიაზე. (ქალაქის და სოფლების როგორც ცენტრალური, ასევე შიდა გზები, (ჯამში 4491 გრძ/მ.)

3, პროექტები (6 პროექტი) ასევე ითავლისწინებს სკვერების მოწყობას სოფელ ნატანებში (1 პროექტი) და ქალაქის ტერიტორიაზე (5)პროექტი), ჯამური ღირებულებით 1 284 261,72 ლარი. ასევე სპორტული მოედნის რეაბილიტაცია (1 პროექტი) ქალაქის ტერიტორიაზე (ღირებულება 314801.47 ლარი) და სანიაღვრე არხის მოწყობა (1 პროექტი) ქალაქის ტერიტორიაზე (ღირებულება 245560 ლარი).

აღნიშნული პროექტები მნიშვნელოვანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის. განახლდება და მოწესრიგდება ქალაქის, დაბის და სოფლის ქუჩები, განახლდება სპორტული მოედანი და მოეწყობა სკვერები, რითაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მუნიციპალიტეტის იერსახე. აღნიშნული პროექტებით ისარგებლებს ათასობით ადამიანი, (როგორც ადგილობრივი, ასევე სტუმრები,) რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციასა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე კომისია მხარს უჭერს აღნიშნული პროექტების მოწონების საკითხს საკრებულოს სხდომაზე.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი